




# ადამიანური უსაფრთხოება გაგეოგ ხაზებთან

საქართველომ ადამინისტრაციული გაგეოგფი ზოლის პერიპეტიები



# ადამიანური უსაფრთხოება გამყოფ ხაზებთან:

საქართველოს ადმინისტრაციული გამყოფი ზოლის  
პერიპეტიები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი  
2025



**ევროკავშირი  
საქართველოსთვის**



**სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი**



კავკასიის კვლევითი  
რეზერვების ცენტრი

კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

**კვლევაზე პასუხისმგებელი პირი:** თამთა მიქელაძე

**ავტორები:** ფეირლი ჩაპიუსი, თეონა ფირანიშვილი

**თარგმანი:** ნათია ნადირაძე

**ყდის დიზაინი:** როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

*ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ფეირლი ჩაპიუსი, თეონა ფირანიშვილი, “ადამიანური უსაფრთხოება გამყოფ ხაზებთან: საქართველოს ადმინისტრაციული გამყოფი ზოლის პერიპეტეიები”, 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

**მისამართი:** ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

**ტელ.:** +995 032 2 23 37 06

[www.socialjustice.org.ge](http://www.socialjustice.org.ge)

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

## სარჩევი

ნაწილი I.....	4
ადამიანური უსაფრთხოება სასაზღვრო ზონებში.....	4
უსაფრთხოების ცნების გაფართოება: სწორება ადამიანურ უსაფრთხოებაზე.....	5
სასაზღვრო ტერიტორიებისა და გაყინული კონფლიქტების მნიშვნელობა.....	8
სადავო სასაზღვრო ზონებში ადამიანურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება.....	11
პასუხისმგებლიანი და წარმომადგენლობითი მმართველობა.....	11
უსაფრთხოების ღონისძიებები, ადრეული გაფრთხილება და კონფლიქტების მოგვარება .....	14
სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.....	21
ადამიანის უფლებების დაცვა .....	26
ადამიანური უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება სადავო სასაზღვრო ზონებში .....	29
ადამიანური უსაფრთხოების ათი ძირითადი პრინციპი.....	29
ადამიანური უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ღერძი .....	34
საერთაშორისო სტანდარტებისა და ინდექსების გამოყენება პროგრესის გასაზომად .....	36
ნაწილი II.....	40
ადამიანური უსაფრთხოება საქართველოს კონფლიქტისპირა რეგიონებში .....	40
შეჯამება .....	44
გამოყენებული წყაროები .....	47



# ნაწილი I

## ადამიანური უსაფრთხოება სასაზღვრო ზონებში

საზღვრები გეოგრაფიული მახასიათებლებია - რუკებზე გავლებული ხაზები, რომლებიც ერთ სახელმწიფოს მეორესგან გამოყოფენ. საზღვრები ასევე წარმოადგენს იმ იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ რეალობებს, რომლებიც ერთ მხარეს მცხოვრებ ადამიანებს ერთმანეთისგან ამორიშორებენ და საზღვრავენ სუვერენულ პასუხისმგებლობას კონკრეტული მოსახლეობის მიმართ. როდესაც საზღვრები ივლება, ისინი ხდება სოციალური და პოლიტიკური წესრიგის მახასიათებლები, რომლებიც სტრუქტურაში აქცევენ ინდივიდუალური და სათემო ცხოვრების ყველა ასპექტს, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირად. მაგრამ, როდესაც საზღვარი საკამათო ხდება, როდესაც არ არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, თუ სად უნდა გაიაროს სასაზღვრო ხაზმა და ვინ უნდა მოექცეს მის რომელიმე მხარეს, საზღვარი ხდება დავის საგანი და დამაბულობის მიზეზი, რომელიც ორივე მხარეს მცხოვრებ საზოგადოებებზე ახდენს გავლენას.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის სადავო სასაზღვრო ტერიტორია ხშირად ხდება ხოლმე შეიარაღებული დაპირისპირებისა და კონფლიქტის ადგილი. საზღვრის არცნობა წარმოადგენს სახელმწიფოს პირდაპირ გამოწვევას და შეიძლება აგრესიის გამოვლინებადაც ჩაითვალოს, რადგან საზღვარი სახელმწიფო ტერიტორიის განმსაზღვრელია. ამ მიზეზით, უსაფრთხოების ყველაზე ტრადიციული გაგება, რომელიც გულისხმობს სამხედრო საშუალებებით ტერიტორიის კონტროლს, ყველაზე თვალსაჩინო სწორედ საკამათო სასაზღვრო ტერიტორიებზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტრადიციული შეიარაღებული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის შედარებით გაიშვიათდა საერთაშორისო სისტემაში, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გაღვივების საფრთხე ყველაზე დიდი ალბათობით სწორედ სასაზღვრო სასაზღვრო ზონებში არსებობს და ემუქრება როგორც სახელმწიფოების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას.

სახელმწიფოს მიერ ეროვნული თავდაცვისკენ გადადებული ნაბიჯები, შესაძლოა მძიმე ტვირთად დააწვეს მოსახლეობას. ცხადია, სადავო სასაზღვრო ზონებში მცხოვრები თემების უსაფრთხოება და დაცულობა განიცდის არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტებისა და მილიტარიზებული სტრატეგიების უარყოფით ზეგავლენას, არამედ სახელმწიფოს უჭირს ამ ზონების მოსახლეობისთვის საჭირო სერივსების მიწოდებაც. შედეგად, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენა ასუსტებს სახელმწიფოს და კიდევ უფრო აუარესებს კონფლიქტურ სიტუაციას საზღვარზე, რაც, თავის მხრივ, ქმნის ძალადობისა და დესტაბილიზაციის მავნე წრეს, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს კონფლიქტს და ამძიმებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას.

ადამიანური უსაფრთხოების კონცეფცია გვთავაზობს უსაფრთხოების სტეიტისტური გაგების ალტერნატივას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეროვნული თანდაცვა დამოკიდებულია ადამიანების და ზოგადად, მოსახლეობის კეთილდღეობაზე. განსხვავებით უსაფრთხოების ტრადიციული გაგებისგან, ადამიანური უსაფრთხოება მას ჰუმანოცენტრული პერსპექტივიდან განიხილავს და უსაფრთხოების დისკურსში შემოაქვს ისეთი კრიტიკული კომპონენტი, როგორცაა ინკლუზია და ადამიანური ფაქტორის გათვალისწინების პრიორიტეტი. შესაბამისად, ადამიანური უსაფრთხოების კონცეფცია უსაფრთხოების პოლიტიკის საყრდენად სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვას მოიაზრებს. ამ პერსპექტივიდან, ეროვნული უსაფრთხოების მიზანი მოსახლეობის უფლებების დაცვა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა (და არა ტერიტორიის უსაფრთხოება). ეს მიდგომა თავდაყირა აყენებს ტრადიციულ სტრატეგიულ გათვლებს, რომლებიც ამართლებს ადამიანის უფლებების დარღვევისა და კეთილდღეობის მოშლის ხარჯზე ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვებას. ამგვარად, ადამიანის უსაფრთხოების იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა სადავო სასაზღვრო ზონებისადმი მოითხოვს ინტერესების, სტრატეგიის და პერსპექტივის იმგვარ ცვლილებას, რომელიც

სადაო საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა ზარალდება არა მხოლოდ მიმდინარე კონფლიქტით, არამედ ასევე სახელმწიფოს უუნარობით დაიცვას მათი უფლებები და უზრუნველყოს ადგილობრივი თემები იმგვარი სერვისებით, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი ადამიანური უსაფრთხოებისთვის. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზები, რომლებიც საქართველოს მათი თვითაღიარებული ტერიტორიებიდან - სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთისგან ყოფენ, წორედ ამგვარ პრობლემას ქმნის. წინამდებარე სტატიაში განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც საქართველოს სადაო სასაზღვრო ზონებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხება. მსოფლიოს სხვადასხვა კონტექსტის შესაბამის გამოცდილებაზე, კანონებსა და პოლიტიკებზე დაყრდნობით, წინამდებარე სტატია განიხილავს თუ როგორ ახერხებს სახელმწიფო შეასრულოს საკუთარი ვალდებულება და დაიცვას ადამიანური უსაფრთხოება სადაო სასაზღვრო ტერიტორიებზე.

## უსაფრთხოების ცნების გაფართოება: სწორება ადამიანურ უსაფრთხოებაზე

საერთაშორისო კონტექსტში, ადამიანური უსაფრთხოების კონცეფციამ წინა პლანზე 1990-იანი წლების დასაწყისში წამოიწია, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სახელმწიფოზე ორიენტირებული უსაფრთხოების პარადიგმები, რომლებიც აგებული იყო მილიტარისტული საფრთხეების განეიტრალებასა და ტერიტორიული მთლიანობის პრიორიტეტზე.<sup>1</sup> 1994 წელს, გაეროს განვითარების პროგრამამ გამოაქვეყნა თავისი მნიშვნელობით გამორჩეული *ადამიანური განვითარების ანგარიში*, სადაც ნათქვამი იყო, რომ უსაფრთხოებაში უნდა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ სახელმწიფოების დაცვა გარე

აგრესორისგან, არამედ ადამიანების დაცვაც ისეთი საფრთხეებისგან, რომლებიც მათ კეთილდღეობას ემუქრება.<sup>2</sup> ეს პოსტულატი დაეფუძნა სახელმწიფოების ვალდებულებას მათი მოსახლეობის “შიშისგან გათავისუფლების” შესახებ, რაც თავის მხრივ, გულისხმობს უსაფრთხოების კონცეფციის იმგვარად გაფართოებას, რომ მასში მოიაზრებოდეს ფიზიკური ძალადობის ისეთი ფორმებისგან დაცვაც, როგორცაა, მაგალითად ინტერპერსონალური ან გენდერზე დაფუძნებული ძალადობა. ამავე დროს, იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანების წინაშე ექსისტენციალური საფრთხეები დგება სტრუქტურული სიღატაკის გამო, ხაზს უსვამს სახელმწიფოების „საჭიროებებისგან გათავისუფლების“ ვალდებულებას. ადამიანური უსაფრთხოების კონცეფციის ამგვარად გაფართოების შედეგად, მან შეიძინა სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური განზომილება, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, შემოსავალი, ეკოლოგიური სტაბილურობა და პოლიტიკური თავისუფლება.

ადამიანური უსაფრთხოების წინა პლანზე წამოწევამ ხელახლა განსაზღვრა სახელმწიფოს როლი, რომელიც სამხედრო თავდაცვის გარდა მოიცავს ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის პასუხისმგებლობას. ადამიანური უსაფრთხოების კონცეფცია აღიარებს, რომ დაუცველობისა და საფრთხის განცდა ხშირად უკავშირდება კომპლექსურ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ და გლობალურ გამოწვევებს და ამიტომ, კონფლიქტის მოგვარებასაც ამ პერსპექტივიდან განიხილავს და სტრუქტურულ და საზოგადოებრივ დონეებზე კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს შორის კავშირს ანალიზებს. ანალიზის არეალის გაფართოებით, ადამიანური უსაფრთხოების კონცეფცია სახელმწიფოზე ორიენტირებულ და სამხედრო ძალაზე დაფუძნებულ პერსპექტივას ანაცვლებს ჰუმანოცენტრული მიდგომით, რომელიც პრიორიტეტს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას ანიჭებს. ჰუმანოცენტრული მიდგომა აფართოებს კონფლიქტის ანალიზის ჩარჩოს, რათა მოიხელთოს არა მხოლოდ ომის უშუალო გავლენები, არამედ ის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოებები, რომლებიც ემუქრება ადამიანებისა და თემების უსაფრთხოებას. ჰუმანოცენტრული მიდგომა აღიარებს, რომ ისეთი ფაქტორები, როგორცაა სიღარიბე, უთანასწორობა, ადამიანის უფლებების დარღვევა და ეკოლოგიური დეგრადაცია, ხშირად უწყობს ხელს კონფლიქტის გავივებას და შესაბამისად, ამ ძირეული პრობლემების მოგვარება უმნიშვნელოვანესია მდგრადი მშვიდობის მისაღწევად.

ადამიანურ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული მიდგომა განსხვავდება ტრადიციული სამხედრო-სტრატეგიული მიდგომებისგან, რომლებიც უსაფრთხოებას უმთავრესად სახელმწიფოს სუვერენიტეტის ტერიტორიული დაცვის პრიზმიდან განიხილავს. ტრადიციული შეხედულებები, რომლებიც ფოკუსირებულია მოწინააღმდეგეების ძალის გამოყენებით დამარცხებაზე, ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებს სამოქალაქო პირების, საჭიროებებსა და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს და მათ ხშირად თანმხლებ ზიანად განიხილავს. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების ამგვარი უგულებელყოფა ხშირად წარმოშობს ძალადობის ციკლს, რომელშიც კონფლიქტის

გამომწვევი ძირეული მიზეზები რეაგირების გარეშე რჩება. ამ შეხედულებებისგან განსხვავებით, ადამიანური უსასაფრთხოება ეფუძნება „შიშისგან და საბაზისო საჭიროებებისგან გათავისუფლების“ პრინციპს, როგორც უსაფრთხოების უმთავრეს კომპონენტს, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ფართო სტრატეგიების შემუშავების საჭიროებას. ამგვარი სტრატეგიები აერთიანებს ჰუმანიტარულ, განვითარებასა და მშვიდობის შენებაზე ორიენტირებულ მცდელობებს და კონფლიქტის იმგვარ გადაწყვეტას, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებული თემების დაცვასა და გამლიერებას. ამგვარად, ადამიანურ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული მიდგომა ქმნის ახალ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ უსაფრთხოება და ხელი შეუწყოს ხანგრძლივადიან სტაბილურობასა და მშვიდობას.

ამ მიდგომის მხედვით, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საომარი მოქმედებების სფეროში, არამედ ვალდებულს ხდის მას იზრუნოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე ადამიანური უსაფრთხოების სხვადასხვა განზომილების მიხედვით. ეს იდეა განმტკიცებულია ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიის “დაცვის ვალდებულების” დოქტრინაში.<sup>3</sup> ადამიანური უსაფრთხოება მრავალგანზომილებიანი კონცეფციაა, რომელიც რამდენიმე ასპექტს მოიცავს, მათ შორისაა ეკონომიკური უსაფრთხოება, სურსათის უსაფრთხოება, ჯანმრთელობის უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, პირადი უსაფრთხოება, სათემო უსაფრთხოება და პოლიტიკური უსაფრთხოება. თითოეული განზომილება იმ სხვადასხვა საფრთხეებს ეხება, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანებისა და საზოგადოებების კეთილდღეობას დაწებული სიღარიბისა და შიმშილიდან დამთევრებული დაავადებებითა და ეკოლოგიური დეგრადაციით, ძალადობითა და ადამიანის უფლებათა დარღვევებით.

სახელმწიფო დონეზე, ადამიანური უსაფრთხოების ეს ასპექტები სხვადასხვა პოლიტიკასა და სტრატეგიულ ვალდებულებას უდეს საფუძვლად. მაგალითად, ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავება ხშირად სიღარიბის შემცირების სტრატეგიებით, სოციალური უსაფრთხოების ქსელების განმტკიცებითა და ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ხდება. სურსათის უსაფრთხოებას ეხება სოფლის მეურნეობის სფეროს პოლიტიკა, სურსათის განაწილების პროგრამები და საერთაშორისო დახმარების ინტერვენციები, ხოლო ჯანდაცვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემები, უნივერსალური ჯანდაცვის ინიციატივები და მწვავე საზოგადოებრივი ჯანდაცვის რისკების, მაგალითად, პანდემიებზე რეაგირებები. ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები, როგორც წესი, ინტეგრირებულია ისეთ პოლიტიკებში, რომელიც მიმართულია მდგრადი განვითარების, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირებასა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენციასა და რეაგირებისკენ. ადამიანური და სათემო უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავება ხშირად წარმოადგენს სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმების, ჰუმანოცენტრული ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგის, კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის შენებისკენ მიმართული ღონისძიებების ნაწილს. დემოკრატიული მმართველობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ინკლუზიური



პოლიტიკური პროცესების წარმოება შედეგად იწვევს იმგვარი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელშიც მოსახლეობის ინტერესები (და არა არსებული მმართველობის) არის ის წყარო, რომელიც იმპულსს აძლევს პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც, თავის მხრივ, მოითხოვს სექტორთაშორის თანამშრომლობას და რომლებიც ინტეგრირებულია საერთოეროვნულ უსაფრთხოების სტრატეგიებში. ამგვარი სისტემა ეფუძნება მიდგომას, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფა გულისხმობს როგორც ინდივიდების დაცვას მყისიერი საფრთხისგან, არამედ დაუცველობისა და მყიფე უსაფრთხოების განცდის სტრუქტურულ გამომწვევებზე რეაგირებას.

## სასაზღვრო ტერიტორიებისა და გაყინული კონფლიქტების მნიშვნელობა

საზღვრები კონფლიქტების უნიკალურ ადგილებს წარმოადგენს რადგან მათთვის ბუნებრივი სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკა ზრდის დამაბულობისა და ძალადობის რისკებს. რადგანაც საზღვრებით შემოიფარგლება სუვერენული სახელმწიფო და სიმბოლურად - პოლიტიკური კონტროლი და ეროვნული იდენტობა, ისინი ხშირად ხდებიან მწვავე დაპირისპირების ადგილი, სადაც თავს იყრის ტერიტორიული ერთიანობა, ეროვნული უსაფრთხოება და კულტურული იდენტობა.

სოციო-პოლიტიკური პერსპექტივიდან თუ ვიმსჯელებთ, საზღვრის მიმდებარე ადგილები ხშირად გამოირჩევიან ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით. სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობას ხშირად აყენებს რისკის ქვეშ სხვადასხვა ჯგუფების ამ ადგილის კუთვნილებასთან დაკავშირებული ისტორიული პრეტენზიები და ტრანსსასაზღვრო კავშირები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი იდენტობების, ავტონომიის ან თვითგამორკვევის ნიადაგზე, როგორც ამას ადასტურებს ქაშმირის, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და სხვა უამრავი მაგალითი. გარდა ამისა, სასაზღვრო ზონები ხშირად განიცდიან მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ზეწოლას მიგრაციის გამო, იქნება ეს გამოწვეული უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების მამიებლებითა თუ ძალადობრივი რეჟიმებისგან თავის დაღწევის მსურველებით. ამ გამოწვევებს შეუძლია გამოიწვიოს რესურსების გადატვირთვა და გააღრმავოს დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და ახალმოსახლეებს შორის. ეკონომიკური თვალსაზრისით, საზღვრები მნიშვნელოვანი როლს თამაშობენ სავაჭრო ურთიერთობებსა და რესურსების კონტროლში, რაც მათ ეკონომიკური კონფლიქტების ცხელ წერტილებად აქცევს. ბუნებრივი რესურსების, კონტრაბანდის და სავაჭრო მარშრუტების კონტროლის საკითხების ირგვლივ არსებულმა უთანხმოებამ შესაძლოა კიდევ უფრო გაამწვავოს დამაბულობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფოს ავტორიტეტი სუსტი ან სადავოა. შესაბამისად, საზღვრები არის ის ადგილები, სადაც წარმოიქმნება უსაფრთხოების მრავალი პრობლემა, სადაც სუვერენიტეტის, იდენტობის, მიგრაციის და ეკონომიკური ინტერესების საკითხები კვეთს ერთმანეთს, რაც მათ მნიშვნელოვან კომპონენტად აქცევს

ფართომასშტაბიანი რეგიონული და საერთაშორისო კონფლიქტების გაგებისა და მოგვარების პროცესში.

„გაყინული კონფლიქტების“ კონტექსტში, ანუ, როდესაც აქტიური საომარი მოქმედებები შეწყვეტილია, მაგრამ ოფიციალური სამშვიდობო შეთანხმება არ არის მიღწეული, სადავო საზღვრები ხასიათდება გადაუჭრელი დავებით და ხანგრძლივი ჩიხური მდგომარეობით. ეს საზღვრები ხშირად ირეკლავს ღრმად ფესვგადგმულ ეთნიკურ, ეროვნულ ან ტერიტორიულ უთანხმოებებს - პოლიტიკურად მგრძნობიარე და მილიტარიზებულ საკითხებს. გადაუჭრელი პრობლემები ხელს უწყობს უკიდურესი დამაბულობის შენარჩუნებასა და ძალადობის პერიოდულ გამოვლინებებს. ამ რეგიონებში საზღვრები შეიძლება აღიარებული იყოს კონფლიქტის მონაწილე მხარეების, თუმცა არა საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ეს გაურკვეველობა ქმნის უსაფრთხოების კომპლექსურ გარემოს, სადაც სუვერენიტეტი და კონტროლი სადავოა, ხოლო არსებული სტატუს-კვო ძალთა უკიდურესად მციფე ბალანსით ნარჩუნდება.

მაგალითად, ასეთ სადავო საზღვრებში შედის დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, სადაც გადაუჭრელი დავები მუდმივად იწვევს უსაფრთხოების კრიზისს და ხელს უშლის დიპლომატიურ ძალისხმევას, ეკონომიკურ განვითარებას და რეგიონულ სტაბილურობას, რაც კიდევ უფრო აღრმავებს იმ გაურკვეველობას, რომელიც, როგორც წესი, თან ახლავს კონფლიქტით დაზარალებული თემების ყოველდღიურობას.

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი გაყინული კონფლიქტის კონტექსტში სადავო საზღვრის მაგალითია, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს საქართველოსა და მის სეპარატისტულ რეგიონებს შორის მიმდინარე დამაბულობას და ამ პროცესზე რუსეთის გავლენას. ამ კონფლიქტის საწყისი უკავშირდება გვიან საბჭოთა პერიოდს, როცა საქართველოში მზარდი ნაციონალისტური მოძრაობები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიის გაფართოების მისწრაფებას დაუპირისპირდა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, 1990-იანი წლების დასაწყისში, ორივე რეგიონის მიერ საქართველოსგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას კონფლიქტი და ძალადობა მოჰყვა. 1990-იანი წლების შუა პერიოდში, სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს, თუმცა ეს დამოუკიდებლობა საერთაშორისო დონეზე არ აღიარებულა და ისინი კვლავაც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში რჩებიან.

1990-იანი წლებისა და 2000-იანი წლების დასაწყისში დამაბულობა არ შენელებულა, თუმცა კონფლიქტი „გაყინულ“ მდგომარეობაში გადავიდა, პერიოდული მცირე დაპირისპირებებით, მაგრამ სტატუს-კვოს მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. ეს მციფე მშვიდობა 2008 წლის აგვისტოში დაირღვა, როცა გამწვავებული დამაბულობა რუსეთ-საქართველოს ომით დასრულდა. რუსული შეიარაღებული ძალების ჩარევა და მათ მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხარდაჭერა, გადამწყვეტი აღმოჩნდა. რუსულმა ჯარმა სწრაფად დაამარცხა საქართველოს შეიარაღებული ძალები. ომის შემდეგ, რუსეთმა ორივე

რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა, რითაც გაამყარა მათი ფაქტობრივი გამოყოფა საქართველოსგან, თუმცა ახალი თვითგამოცხადებული რესპუბლიკების საერთაშორისო სტატუსი კვლავაც გაურკვეველი დარჩა.

2008 წლის ომის შემდგომ გავლენიანი ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზები რათა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფას ემსახურება. ეს საზღვრები, რომელთა გასწვრივ რუსული ჯარებია განლაგებული, უკიდურესად მილიტარიზებულია, რაც მყიფე და დამაბულ გარემოს ქმნის.

როგორც სადავო საზღვრები, ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზები წარმოადგენს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხის სიმბოლოს. ამ სიტუაციაში ვერც ერთმა მხარემ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა მყარი გამოსავლის მოძებნა. კონფლიქტი კვლავაც გაყინულია, ადგილი აქვს სიტუაციის პერიოდულ ესკალაციას, მაგრამ ხანგრძლივი მშვიდობისკენ ნაბიჯები არ იდგმება. ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზები ზღუდავს გადაადგილებას, იზოლაციას აქცევს თემებს და აძლიერებს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას, რაც მათ საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის მიმდინარე გაყინული კონფლიქტის ცენტრალურ ნაწილად აქცევს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზების გავლენას მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული უსაფრთხოების პრობლემები მოჰყვა, რაც დღემდე უკიდურესად მძიმედ აისახება მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრებაზე.<sup>4</sup> ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა გადაადგილების შეზღუდვაა, რამაც გამოიწვია ოჯახების დაშორება, საარსებო წყაროების შეწყვეტა და ძირითადი მომსახურების, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება და დასაქმება, შეზღუდვა. ეს ჰუმანიტარულ კრიზისს ქმნის, სადაც ადამიანები ხშირად მოწყვეტილი არიან აუცილებელ რესურსებს და სოციალურ მხარდაჭერის ქსელებს. ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზების მილიტარიზაციამ გაამძაფრა პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემები, ხოლო შეიარაღებული ძალების მუდმივი დისლოცირება და ხაზების გადაკვეთის გამო სამოქალაქო პირების პერიოდული დაკავების ფაქტები კიდევ უფრო ამძაფრებს შიშსა და გაურკვეველობას ადგილობრივი მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზების არსებობა იწვევს ეკონომიკურ გაურკვეველობას, რადგან ტრადიციულად სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაზე დამოკიდებული რეგიონის მოსახლეობა ვეღარ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრებსა და წარმოების ადგილებზე მნიშვნელოვნად შეზღუდული წვდომის გამო.

ასევე გამოწვევას წარმოადგენს ეკოლოგიური უსაფრთხოება, რადგან გადაადგილების შეზღუდვა ადგილობრივ მოსახლეობას უზღუდავს მიწის მართვისა და გამოყენების შესაძლებლობას, რაც ეკოლოგიურ დეგრადაციას და ადგილობრივი თემებისთვის საარსებო წყაროების დაკარგვას იწვევს. ადმინისტრაციულ გამოყოფი ხაზებთან დაკავშირებული დამაბულობა და გაურკვეველობა განაპირობებს არასტაბილურობისა და

დაუცველობის განცდას, რაც აღნიშნულ გაყინული კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარული უსაფრთხოების ფართომასშტაბიან გამოწვევებს უსვამს ხაზს.

## სადავო სასაზღვრო ზონებში ადამიანურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება

სადავო საზღვრებთან დაკავშირებული გამოცდილება, არ არის უნიკალური საქართველოს ან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები თემებისთვის. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც, საქართველოს მსგავსად, სახელმწიფო უწყებები ცდილობენ მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს სასაზღვრო რეგიონებში არსებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების უარყოფითი ეფექტების შემსუბუქებას და ადამიანის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, თუმცა ამ ღონისძიებების გატარების შედეგები არაერთგვაროვანია. სტატიის ამ ნაწილში, რომელიც ეფუძნება სადავო სასაზღვრო რეგიონებში ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შერჩეულ გამოცდილებებს, გამოკვეთილია რამდენიმე ის ძირითადი საკითხი, რომლებიც სახელმწიფოების წინაშე დგება გამოწვევების დაძლევის პროცესში. შესაბამისად, სტატიის წინამდებარე ნაწილი განიხილავს, თუ როგორ ცდილობენ მთავრობები ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ოთხი უმთავრესი მიმართულებით: პასუხისმგებელი და წარმომადგენლობითი მმართველობა, უსაფრთხოება და კონფლიქტების მოგვარება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვა. სხვადასხვა შემთხვევის მაგალითებზე დაყრდნობით ილუსტრირებულია საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა რეაგირება და ინსტიტუციური ჩარჩოები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებებში გამოიცადა. ამ მაგალითების მეშვეობით უფრო ნათელი ხდება სადავო სასაზღვრო რეგიონების მმართველობის სირთულეები და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვადასხვა მიდგომების ეფექტურობა.

### პასუხისმგებლიანი და წარმომადგენლობითი მმართველობა

სადავო სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები თემები ხშირად განსაკუთრებით მოწყვლადები არიან დაუცველობის, პოლიტიკური არასტაბილურობის, ეთნიკური დაძაბულობისა და ეკონომიკური სირთულეების გამო. პასუხისმგებელი და წარმომადგენლობითი მმართველობის სტრუქტურები ეხმარება ამ გამოწვევების დაძლევას სასაზღვრო მოსახლეობის უნიკალური საჭიროებების დაკმაყოფილებით და მათი პრობლემების მიტანით იმ ძალაუფლებრივ სტრუქტურებად, რომლებიც ამ საკითხებზე რეაგირებას შეძლებენ. სასაზღვრო რეგიონებში ხშირად უგულებელყოფილია ისეთი საჭიროებები, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება და ეკონომიკური განვითარება.

მმართველობას, რომელიც აღიარებს და პასუხობს ამ საჭიროებებს, შეუძლია შეამციროს მარგინალიზაციისა და უგულვებელყოფის განცდა, რაც ხშირად აძლიერებს უკმაყოფილებას და მღელვარებას ადგილობრივ მოსახლეობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი მმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სასაზღვრო რეგიონებში ყველა ეთნიკურ, კულტურულ და სოციალურ ჯგუფს ჰქონდეს მონაწილეობის შესაძლებლობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს ინკლუზიურობა ხელს უწყობს დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას მრავალფეროვან თემებს შორის, რაც ამცირებს შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობას. ამასთან, მმართველობის სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებლიანი და წარმომადგენლობითია, ხელს უწყობს ნდობის გაძლიერებას სახელმწიფოსა და სასაზღვრო თემებს შორის, რაც ამარტივებს ისეთი უსაფრთხოების ზომების განხორციელებას, რომლებიც ლეგიტიმურად და სამართლიანად აღიქმება ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ. ეს, თავის მხრივ, აძლიერებს საერთო ადამიანურ უსაფრთხოებას, და ქმნის უფრო სტაბილურ და თანმიმდევრულ გარემოს, თუნდაც ისეთ მცდელობებში, რომელიც, ჩვეულებრივ ახასიათებს სადავოდ ქცეულ სასაზღვრო რეგიონებს.

სომალისა და სომალილენდის კონტექსტში, 2001 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ შექმნა დეცენტრალიზებული მმართველობის სამართლებრივი ჩარჩო, რამაც თვითგამოცხადებული სომალილენდის ადმინისტრაციას ადგილობრივ საჭიროებებზე უფრო ეფექტურად რეაგირების შესაძლებლობა მისცა, ვიდრე ეს მოგადიშუს ცენტრალურ მთავრობას შეეძლებოდა.<sup>5</sup> სომალისგან განსხვავებით, რომელიც ჯერ კიდევ ებრძვის არასტაბილურობასა და სუსტ მმართველობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, სომალილენდის დეცენტრალიზებულმა მიდგომამ ხელი შეუწყო შედარებითი მშვიდობისა და სტაბილურობის დაემყარებას. სომალილენდის ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც კარგად იცნობს კლანურ დინამიკასა და რეგიონალურ საჭიროებებს, უსაფრთხოების და განვითარების ისეთ პოლიტიკას ახორციელებს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება. ამ ლოკალიზებულმა მმართველობამ გააძლიერა თემების ნდობა და აამაღლა მათი მონაწილეობის ხარისხი, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას წესრიგის შენარჩუნებასა და რეგიონის სპეციფიკური პრობლემების გადაჭრაში ეხმარება, მიუხედავად იმისა, რომ სომალიში ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა მასშტაბური კონფლიქტი.

ტიმორ-ლესტეში სოფლის საბჭოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საბჭოები, რომლებიც ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, უზრუნველყოფენ, თემის წევრები აქტიურ ჩართულობას იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებსაც უშუალო გავლენა აქვთ მათი ცხოვრების ხარისხზე. მრავალფეროვანი დიალოგსა და კონსენსუსის მშენებლობაში ფართო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მეშვეობით, სოფლის საბჭოები ხელს უწყობენ ადგილობრივი დავების გადაწყვეტას, რესურსების მართვას და განვითარების პროექტების განხორციელებას, რომლებიც საზოგადოების საჭიროებებსა და პრიორიტეტებზეა მორგებული. ამგვარი მონაწილეობითი მიდგომა აძლიერებს სოციალურ



შეჭიდულობას, აჩენს ნდობას ხელისუფლების მიმართ და აძლიერებს ადგილობრივ მოსახლეობას, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტაბილურობას და ტიმორ-ლესტეს სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები თემების მედეგობას.<sup>6</sup>

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლიან მმართველობას შეუძლია მნიშვნელოვნად და დადებითად შეცვალოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრება, სადავო სასაზღვრო რეგიონების პირობები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად ართულებს მმართველობის ეფექტურ განხორციელებას ამ ზონებში, სადავო საზღვრის ორივე მხარეს. მთავარ გამოწვევებს შორისაა სუსტი მმართველობა და ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობა მომსახურების ეფექტურად მიწოდებისთვის, არასახელმწიფო სუბიექტების ან შიდა პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგობა მთავრობის ავტორიტეტისადმი და კორუფცია და ნეპოტიზმი, რაც, ზოგადად, მმართველობის ინსტიტუტების ლეგიტიმურობას ასუსტებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოწვევები სერიოზულია ნებისმიერ მმართველობის კონტექსტში, მათი გავლენა სადავო სასაზღვრო რეგიონებში შესაძლოა მნიშვნელოვნად დამაზიანებელი იყოს.

ეიბიეში, სუდანსა და სამხრეთ სუდანს შორის მდებარე სადავო სასაზღვრო რეგიონში, მმართველობის გამოწვევები გამოიხატება სუსტი მმართველობითი სტრუქტურებით და მწირი ინსტიტუციური შესაძლებლობებით. რეგიონის გაურკვეველი პოლიტიკური სტატუსის გამო გაურკვეველია ასევე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მმართველობაზე, რაც იწვევს სერვისების დაბალ დონესა და ამძაფრებს დაუცველობის განცდას. განუვითარებელია ისეთი აუცილებელი სერვისები, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა, რაც კიდევ უფრო აუარესებს ადგილობრივი მოსახლეობის მოწყვლადობის ხარისხს. ეფექტური მმართველობის არარსებობა ასევე აფერხებს კანონის დაცვას, აძლიერებს დაუცველობის განცდას და ადგილობრივ მოსახლეობას საცხოვრებლის დატოვებისკენ უბიძგებს. ეს გამოწვევები ცხადყოფს ძლიერი და კოორდინირებული მმართველობითი მექანიზმების საჭიროებას, რომელიც ეფექტურად გაუმკლავდება აზიის კომპლექსურ ადამიანურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.<sup>7</sup>

სადავო სასაზღვრო რეგიონებში ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მმართველობით გამოწვევებს ხშირად აძლიერებს არასახელმწიფო სუბიექტების ან შიდა პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგობა მთავრობის ავტორიტეტისადმი. მაგალითად, ქაშმირში, რომელიც სადავო ტერიტორიაა ინდოეთს, პაკისტანს და ჩინეთს შორის, 1947 წელს დაწყებული დავა, 1989 წელს შეიარაღებულ სეპარატისტულ მოძრაობაში გადაიზარდა. ასეთ პირობებში, ინდოეთის მთავრობის მიერ კონტროლის დამყარების ძალისხმევის მიმართ წინააღმდეგობამ შედეგად მოიტანა საბაზისო სერვისების მიწოდების შეზღუდვა, კანონის აღსრულებასა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებასთან დაკავშირებული გამოწვევები. შეიარაღებული ჯგუფების თარეში და მძლავრი პროტესტი ადგილობრივი თემების მხრიდან, ხელს უშლის მმართველობით ინიციატივებს, რაც, თავის მხრივ, ქმნის შიშისა და გაურკვეველობის ატმოსფეროს.<sup>8</sup>

მმართველობის გამოწვევები, როგორცაა კორუფცია და ნეპოტიზმი, მეტად მწვავე ხასიათს იძენს სადავო სასაზღვრო რეგიონებში და მნიშვნელოვნად ასუსტებს მმართველობის ინსტიტუტების ლეგიტიმურობას მაშინ, როდესაც ლეგიტიმურობის მოპოვება და ნდობის მშენებლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. კორუფცია და ნეპოტიზმი არღვევს საზოგადოებრივ ნდობას და ასუსტებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, ეფექტურად მიაწოდოს მოსახლეობას აუცილებელი სერვისები. კოსოვოში, მაგალითად, პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშვნის პროცესში ღრმად ფესვგამდგარმა კორუფციამ და კრონიზმმა მნიშვნელოვნად შეაფერხა სიღარიბის, უმუშევრობისა და ეთნიკური დაძაბულობის დაძლევის მცდელობები იმ დროს, როდესაც ტერიტორიის საერთაშორისო სტატუსის მიმართ ეჭვები კვლავ აქტუალური იყო.<sup>9</sup> გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამგვარი დეფიციტი აძლიერებს მოქალაქეთა იმედგაცრუებას, რომლებიც მთავრობის მიმართ აღიქვამენ, როგორც საკუთარი ინტერესებისთვის მომუშავე ორგანოს, და არა როგორც მათი უსაფრთხოების და კეთილდღეობის დამცველ ინსტიტუტს. შედეგად, ეს გამოწვევები აღრმავებს სოციალურ დაყოფას და არასტაბილურობას, რაც ძირს უთხრის ადამიანურ უსაფრთხოებას.

## უსაფრთხოების ღონისძიებები, ადრეული გაფრთხილება და კონფლიქტების მოგვარება

სამხედრო და სამართალდამცავი უსაფრთხოების ზომები სადავო საზღვრის ზონებში ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის უსაფრთხოებაზე. ეს გავლენები კომპლექსურია და ხშირად უარყოფით ხასიათს ატარებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებას ართულებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზომები წესრიგისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ისახავს მიზნად, მათი გატარება ხშირად ასუსტებს დაცულობის განცდას ინდივიდებისა და თემებისთვის.

სამხედრო ძალების მუდმივმა დისლოცირებამ სასაზღვრო ზონებში, როგორც წესი, ყოველდღიური ცხოვრების მილიტარიზაციაც იწვევს, რაც იმას გულისხმობს, რომ სამოქალაქო პირებს უწევთ გამშვები პუნქტების გალვა, მათზე ხორციელდება თვალთვალი, ხოლო კომენდანტის საათი გულისხმობს, რომ სამოქალაქო პირები ექვემდებარებიან ხშირ გამშვებ პუნქტებს, მონიტორინგს და კომენდანტის საათებს. ამგვარი ზომები ზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას, აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობას და ეკონომიკურ აქტივობებს, რაც ცხოვრების პირობების გაუარესებას და სიღარიბის ზრდას იწვევს. გარდა ამისა, ძალის გამოყენება და შეიარაღებული პირების ყოფნა ამძაფრებს დაძაბულობას, პროვოცირებს ძალადობას და იწვევს ადამიანის უფლებათა დარღვევებს, მათ შორის თვითნებურ დაკავებებს, შვიწროებას და ძალის გადამეტებულ გამოყენებას.

საზღვრის ირგვლივ მიმდინარე დავების დაძაბულ გარემოში, სამართლის დაცვისკენ მიმართული ძალისხმევა შეიძლება მილიტარიზებული ან პოლიტიკურად და ეთნიკურად მიკერძოებული გახდეს. როდესაც ხელისუფლება თავად ხდება სოციალური დაძაბულობის მწარმოებელი საკუთარი ოპერაციული სტრატეგიებით ავლენს, ეს თავის მხრივ ამდაფრებს უნდობლობას თემებსა და ხელისუფლებას შორის, რის შედეგადაც სოციალური შეჭიდულობა იშლება. უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ფოკუსირება ხშირად გადაფარავს განვითარების და ადამიანის უფლებათა დაცვის საჭიროებებს, რაც არასტაბილურობისა და შიშის ციკლს ქმნის. საზღვრის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის მილიტარიზაციამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო სამართალდამცავი უწყებების ვაკუუმი, განსაკუთრებით მაშინ, თუ საომარი მდგომარეობის რეჟიმში მოქმედი სამხედრო ძალები, ანაცვლებენ საპოლიციო მომსახურების დემოკრატიული გზით მიწოდებას. ეს ადგილობრივ მოსახლეობას უფლებების სათანადო სამართლებრივი და ეფექტური დაცვის გარეშე, ზრდის მათ დაუცველობის განცდას და აყენებს მოსახლეობის გამოცდილებას ეროვნული უსაფრთხოების აშკარა ინტერესების წინააღმდეგ. ეს არის მცდარი დიქტომია, რომელმაც შეიძლება მოშალოს ხანგრძლივი მშვიდობის შენების მცდელობები, რადგან სამხედრო და საომარ მდგომარეობაზე დაფუძნებული რეაგირება არ გულისხმობს კონფლიქტის ისეთი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, როგორცაა, მაგალითად, პოლიტიკური და სოციალური უთანასწორობას. „მკაცრი“ და „რბილი“ უსაფრთხოების ზომების დაბალანსება პოლიტიკის, სტრატეგიის და ტაქტიკის კომპლექსური გამოწვევაა, რომელიც თითოეული კონფლიქტის კონტექსტის შესაბამისად უნდა იქნას გადაჭრილი. თუმცა, ადამიანურ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელება უფრო მეტად ზრდის იმის ალბათობას, რომ მოსახლეობის საუკეთესო ინტერესები ნებისმიერი რეაგირების პრიორიტეტი იქნება.

ქაშმირში ინდოეთის უსაფრთხოების ძალების განლაგება წესრიგისა და კანონის დასაცავად საზღვრის ირგვლივ მიმდინარე კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირების ის მაგალითია, რომელმაც ადგილობრივ თემებში ადამიანის უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.<sup>10</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალები მიზნად ისახავენ წინააღმდეგობის ჩახშობას და ძალადობის პრევენციას, მათი ყოფნა ხშირად ქმნის შიშისა და დაძაბულობის ატმოსფეროს სამოქალაქო მოსახლეობაში. რეგულარული სპეცოპერაციები, კომენდანტის საათი და გამშვები პუნქტები ზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას და არღვევს ყოველდღიურ ცხოვრებას, რაც აფერხებს ისეთი საბაზისო სერვისების მიწოდებას, როგორცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება ადამიანის უფლებების ისეთი დარღვევის შესახებ როგორცაა თვითნებური დაკავებები და ძალის გადამეტებული გამოყენება, კიდევ უფრო ამდაფრებს უნდობლობას ადგილობრივ მოსახლეობასა და უსაფრთხოების სამსახურებს შორის და აძლიერებს გაუცხოების და უკმაყოფილების განცდას. ეს ფაქტორები ხელს უწყობს ძალადობისა და არასტაბილურობის ციკლს, სადაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მცდელობები

პარადოქსულად არღვევს იმავე ადამიანის უსაფრთხოებას, რომლის დაცვაც მათი მიზანია. ქაშირში სამხედრო ძალების მუშაობის მაგალითი ცხადყოფს იმ კომპლექსურ და ხშირად უარყოფით გავლენას, რომელსაც სადავო სასაზღვრო ზონებში თავდაცვითი და უსაფრთხოების ძალების განლაგება ახდენს.

დაზვერვისა და სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები უსაფრთხოების ზომების ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს სადავო საზღვრის ზონებში, თუმცა მათ ასევე აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ადამიანის უსაფრთხოებაზე. დაზვერვითი ოპერაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საფრთხეების პრევენციას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე ხშირად გულისმობს ფართომასშტაბიან მონიტორინგსა და მოსახლეობის თვალთვალს, როგორც ამ მიზნის მიღწევს ერთ-ერთ ზომას, რაც, თვის მხრივ, ქმნის ეჭვიანობის, უნდობლობის და შიშის ატმოსფეროს, სადაც ადამიანები გრძნობენ, რომ მათი უფლებები და პირადი ცხოვრება მუდმივად ირღვევა, ხოლო მათი ყოველდღიური ურთიერთობები გამადიდებელი შუშის ქვეშაა. დაზვერვის საფუძველზე კონკრეტული თემების ან ეთნიკური ჯგუფების მიზანში ამოღება ამდაფრებს მარგინალიზაციისა და დისკრიმინაციის განცდას, რაც შესაძლოა დამაბულობისა და პოტენციური რადიკალიზაციის წყაროდ იქცეს. ანალოგიურად, საზღვრის კონტროლის მკაცრი ზომები, როგორცაა გამშვები პუნქტები, იდენტიფიკაციის მოთხოვნები და გადაადგილების შეზღუდვები, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ეს ზომები ხშირად ზღუდავს აუცილებელი სერვისების, მაგალითად, ჯანდაცვისა და განათლების ეფექტიანად მიწოდებას და ბაზრებთან ხელმისაწვდომობას, რის შედეგადაც თემები წყდებათ საარსებო წყაროებსა და მხარდაჭერის ქსელებს. ხანგრძლივი შეფერხებები და სპეციალური ნებართვების საჭიროება ხელს უშლის ეკონომიკურ საქმიანობას და არღვევს სოციალურ კავშირებს, რაც სიღარიბისა და სოციალური იზოლაციის ზრდას იწვევს. ექსტრემალურ შემთხვევებში, საზღვრის კონტროლის მკაცრი ზომები შესაძლოა ჰუმანიტარული კრიზისის გამომწვევი გახდეს, როდესაც მოსახლეობა კონფლიქტის ზონებში ჩარჩენილია ან არ აქვს თავშესაფრის მიღების შესაძლებლობა. სადაზვერვო და საზღვრის კონტროლის ღონისძიებების ერთობლიობას, მიუხედავად მათი მიზნისა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, შესაძლოა ჰქონდეს ღრმა უარყოფითი გავლენა ადამიანის უსაფრთხოებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ზომები ადამიანის უფლებებისა და თემის საჭიროებების პატივისცემას არ ითვალისწინებს.

ინვესტიციებმა გაიანა-ვენესუელას საზღვრის გასწვრივ უსაფრთხოების ინფრასტრუქტურაში, რომლებიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული დაპირისპირების პრევენციას და საზღვრისპირა საფრთხეების განეიტრალებას, მნიშვნელოვანი გავლენას მოახდინა სადავო რეგიონში ადამიანის უსაფრთხოებაზე. ბარიერების, მონიტორინგის სისტემებისა და სამხედრო საგუშაგოების მშენებლობამ გაზარდა დამაბულობა ორ ქვეყანას შორის და გაამწვავა ისედაც დამაბულობი სიტუაცია ესეკიბოს ტერიტორიის ირგვლივ ხანგრძლივი განხეთქილების გარშემო.<sup>11</sup> ამ ზომებმა ადგილობრივ თემებს შეუზღუდა გადაადგილება და შესაბამისად, ხელმისაწვდომობაც ისეთ ტრადიციულ საარსებო

წყაროებზე, როგორცაა, მაგალითად, მიწათმოქმედება და საზღვრისპირა ვაჭრობა, რომელზეც მათი გადარჩენა დიდწილად არის დამოკიდებული.<sup>12</sup> რეგიონში სამხედრო ძალების ფართომასშტაბიანმა დისლოცირებამ ასევე გამოიწვია ძალადობისა და ესკალაციის შიში, რაც ქმნის დაუცველობის ატმოსფეროს. გარდა ამისა, მილიტარიზაციაზე ფოკუსირების შედეგად, მნიშვნელოვანი რესურსები მოაკლდა აუცილებელ სერვისებს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობა კიდევ უფრო დაუცველი გახდა სიღარიბის, არასაკმარისი ჯანდაცვისა და განათლების პირობებში. უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის გაძლიერებისკენ მიმართული ინვესტიციები, რომლებიც მიზნად ეროვნული ინტერესების დაცვას ისახავს, ძირს უთხრის სასაზღვრო ზონებში მცხოვრები თემების უსაფრთხოებას, ამძაფრებს სოციო-ეკონომიკურ გამოწვევებს და ქმნის შიშისა და დაურკვეველობის გარემოს ადგილობრივ დონეზე.

მიუხედავად გამოწვევებისა, სამხედრო, სამართალდამცავი და დაზვერვითი ძალები შეიძლება მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი გახდნენ ადრეული გაფრთხილების, კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების პროცესებში, თუ მათი ოპერაციები შერიგებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის სტრატეგიებით იქნება დაბალანსებული.

ადრეული გაფრთხილების მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტის პრევენციას სადავო საერთაშორისო საზღვრებზე, გულისხმობს სისტემატურ მონაცემთა შეგროვებას, მონიტორინგსა და ანალიზს, რათა კონფლიქტის პოტენციური რისკები მანამდე ამოიცნოს, სანამ ისინი ძალადობაში გადაიზრდება. დაზვერვა და საზღვრის მართვა ამ ფუნქციის ეფექტიან შესრულებაში უმთავრეს როლს თამაშობს. ადრეული გაფრთხილების სისტემები აკვირდებიან სასაზღვრო რეგიონებში ისეთ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა მზარდი პოლიტიკური დამაბულობა, ჯარის გადაადგილება და დემოგრაფიული ცვლილებები. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას კონფლიქტის ალბათობის შესაფასებლად ისტორიული კონტექსტის, რეგიონალური დინამიკის და პოტენციური მაპროვოცირებელი ფაქტორების, როგორცაა ეკონომიკური დავები ან ეთნიკური დამაბულობა, ანალიზის საფუძველზე. სისტემების მიზანია ესკალაციის ნიშნების გამოვლენა, მაგალითად, ძალადობის ზრდა ან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, და კონფლიქტის პრევენციის ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომელიც ეფუძნება მედიაციას, ნდობის განმტკიცების ღონისძიებებს და პრევენციულ დიპლომატიას. თუმცა, ამ მექანიზმებს მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვთ, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც სუვერენიტეტი, იდენტობის პოლიტიკა და სახელმწიფოებს შორის უნდობლობა ართულებს მონაცემთა შეგროვებასა და ინტერვენციას. სადავო სასაზღვრო რეგიონებში განხეთქილება, როგორც წესი, დაკავშირებულია ღრმად ფესვგადგმულ ეროვნულ, ეთნიკურ ან რელიგიურ დავებთან, რაც კონფლიქტების გადაჭრას კიდევ უფრო ართულებს. გარდა ამისა, დეზინფორმაცია, პროპაგანდა და ძალადობრივი რიტორიკის გამოყენება ამძაფრებს დამაბულობას, რაც ადრეული გაფრთხილების ძალისხმევას ნაკლებად ეფექტურს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია ხელს უწყობს ადრეული გაფრთხილების შესაძლებლობების გაძლიერებას, ამ მექანიზმების წარმატება საბოლოოდ დამოკიდებულია კონფლიქტის



მონაწილე მხარეების დროულ და კოორდინირებულ რეაგირებაზე და მხარეთა მზადყოფნაზე ჩაერთონ მშვიდობიანი მოლაპარაკებებში.

როდესაც უსაფრთხოების ძალები მოქმედებენ მანდატით, რომლისთვისაც პრიორიტეტულია მშვიდობიანი მოსახლეობას დაცვა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ადრეული გაფრთხილების მექანიზმებში და ხელი შეუწყონ უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომელიც აუცილებელია დიალოგისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებისთვის. ადგილობრივ თემებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ეს ძალები მხარს უჭერენ ყოფილი მებრძოლების განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის (DDR) პროცესს, რაც ძალადობის შემცირებისა და შერიგების ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.<sup>13</sup> უფრო მეტიც, როცა უსაფრთხოების ძალები მონაწილეობენ ნდობის გაძლიერების ღონისძიებებში, მაგალითად, თემის ლიდერთან ერთობლივი პატრულირებით ან სამშვიდობო ოპერაციებით, რომლებიც მოიცავს სამოქალაქო დაცვის მანდატს, ისინი ხელს უწყობენ კონფლიქტურ მხარეებს შორის ნდობის გაღრმავებას. დაზვერვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაზიარება ასევე უწყობს ხელს კონფლიქტის დეესკალაციას, საფრთხეების დროულად განეიტრალების მეშვეობით, რაც საშუალებას აძლევს მხარეებს ეფექტურად გაატარონ კონფლიქტის პრევენციისკენ მიმართული პროაქტიული ღონისძიებები. კარგად მართული საზღვრის კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებისა და ტვირთის უსაფრთხო და ლეგალურ გადაადგილებას, ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას და თანამშრომლობას საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ თემებს შორის. ამგვარად, უსაფრთხოების ძალებს, სწორად მართვისა და ინტეგრირდებიან კონფლიქტების მოგვარების ფართო ჩარჩოში ინტეგრაციის პირობებში, შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სადავო საზღვრების სტაბილიზაციასა და გრძელვადიანი მშვიდობის შენების პროცესში.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები, მედიაცია და მშვიდობის ხელშეკრულებები სუდანსა და სამხრეთ სუდანს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური უსაფრთხოების გამტკიცებისთვის სადავო საზღვრის ზონებში, როგორცაა, მაგალითად ებიეი. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების დადებამ შეამცირა ძალადობა, რამაც იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას დაბრუნებისა და თავიანთი ცხოვრების ხელახლა დაწყების საშუალება მისცა. მედიაციისა და მოლაპარაკებების მექანიზმებმა, რომლებიც ხშირად საერთაშორისო აქტორების შუამდგომლობით იმართება, შექმნეს კონფლიქტურ მხარეებს შორის დიალოგის პლატფორმები, რაც ხელს უწყობს ნდობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას. 2012 წელს ხელმოწერილი ცხრა სამშვიდობო ხელშეკრულების შესრულებამ ხელი შეუწყო სადავო რეგიონების დემილიტარიზაციას და საზღვრის ერთობლივი მონიტორინგის მექანიზმების შექმნას.<sup>14</sup> ამ ზომებმა გააუმჯობესა ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა, შეამცირა კონფლიქტის საფრთხე და ხელი შეუწყო ეკონომიკურ საქმიანობას სავაჭრო მარშრუტების აღდგენის მეშვეობით. პოლიტიკური პრეტენზიების მოგვარებით და მშვიდობიანი თანაცხოვრების ჩარჩოების შექმნით, ამ ძალისხმევამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადამიანური უსაფრთხოება

სასაზღვრო რეგიონებში, რაც საფუძველს უქმნის გრძელვადიან მშვიდობასა და სტაბილურობას. ამ ინიციატივების წარმატება ხაზს უსვამს საზღვრის კონფლიქტების მოგვარებაში დიპლომატიური ჩართულობის მნიშვნელობას.

დაუცველობის განცდა ადამიანურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მრავალ გამოწვევას აჩენს. მაგალითად, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრისპირა რეგიონებში, განსაკუთრებით მთიან ყარაბაღში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის და სისხლიანი დაპირისპირების გამო ადგილობრივ თემებს მრავალ გამოწვევასთან უწევდათ გამკლავება.<sup>15</sup> მიუხედავად მრავალი ცეცხლის შეწყვეტისა და სამშვიდობო შეთანხმებისა, როგორცაა 2020 წელს რუსეთის მედიაციით დადებული შეთანხმება, არასტაბილურობა მუდმივ საფრთხედ რჩებოდა ადგილობრივი თემებისთვის. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ წარუმატებელი შეთანხმებები ხშირად იწვევს ძალადობის განახლებას, სამოქალაქო მსხვერპლს, იძულებით ადგილნაცვალობას და ინფრასტრუქტურის განადგურებას, როგორც ეს, მაგალითად, 2023 წელს მოხდა, როცა აზერბაიჯანმა ძალის გამოყენებით დაიპყრო რეგიონი და გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი, რომელმაც 120,000 ადამიანზე მეტი დააზარალა. კონფლიქტმა და არასტაბილურობამ გაამწვავა საკვების უკმარისობა, შეზღუდა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ხელი შეუშალა განათლებას, რამაც მნიშვნელოვანი ტრამვა მიაყენა დაზარალებულ თემებს. გარდა ამისა, შემთხვევაში ნაღმები და აუფეთქებელი საბრძოლო მასალები კვლავაც უქმნის სიცოცხლის საფრთხეს ადგილობრივ მოსახლეობას, ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხელმისაწვდომობას და აღრმავებს კონომიკურ სიდუხჭირეს. მშვიდობის მიღწევის წარუმატებლობა აღრმავებს შიშსა და გაურკვეველობას, რაც ხელს უშლის რეკონსტრუქციისა და განვითარების პროცესებს. ასეთ მყიფე გარემოში, თემები მუდმივი დაუცველობის მდგომარეობაში ცხოვრობენ, სტაბილურობისა და მშვიდობის მცირე იმედით. ამ საზღვრისპირა რეგიონებში არსებული სიტუაცია ხაზს უსვამს მოუგვარებელი კონფლიქტების ღრმა გავლენას ადამიანურ უსაფრთხოებაზე.

**გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების პოლიტიკები**, მათ შორის (NAPs) გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის,<sup>33</sup> საფუძველზე შექმნილი ეროვნული სამოქმედო გეგმები, მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის უსაფრთხოებას სადავო სასაზღვრო რეგიონებში, რადგან ისინი ხელს უწყობს ქალთა მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებში, გენდერული ძალადობისგან დაცვას და უზრუნველყოფს რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. 1325 რეზოლუციის ჩარჩოს საფუძველზე, ეროვნულ პოლიტიკებს შეუძლიათ გაზარდონ სათემო მედეგობა და ხელი შეუწყონ ინკლუზიური, მდგრადი მშვიდობის ჩამოყალიბებას მოწყვლად სასაზღვრო რეგიონებში.

**კანონები და პოლიტიკები ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალი პირების შესახებ**, რომლებიც ხელმძღვანელობს 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო კონვენციისა და შიდა იძულებითი ადგილნაცვალობის გზამკვლევი პრინციპებით,<sup>34</sup> გავლენას ახდენს ადამიანური უსაფრთხოების მდგომარეობაზე სადავო საზღვრისპირა რეგიონებში რადგან, რადგან ხელს უწყობს საბაზისო სერვისებზე წვდომას და სიცოცხლისუნარიანი გამოსავლების მოძიებას, და ადამიანის უფლებების დაცვას, რაც, თავის მხრივ ამ მცირებს კონფლიქტის განახლების რისკებს,

**გადამავალი მართლმსაჯულების მექანიზმები**, რომლებიც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო პრინციპებით, როგორცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის



საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, გავლენას ახდენენ ადამიანის უსაფრთხოებაზე სასაზღვო რეგიონებში იმით, რომ რეაგირებას ახდენენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, ორიენტირებულები არიან შერიგებასა და ანგარიშვალდებულებაზე. როგორც წინა თავში ითქვა, ეს პროცესები ეხმარება საზოგადოებების გაჯანსაღებას, ნდობის აღდგენას და შესაბამისად, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას.

**სამოქალაქო დაცვის სტრატეგიები**, რომლებიც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო პრინციპებით, როგორცაა ინტერვენციისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიის მიერ 2011 წელს შემუშავებული “დაცვის პასუხისმგებლობა (R2P)”,<sup>35</sup> მიზნად ისახვენ ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფას, სამოქალაქო პირების ძალადობისგან დაცვასა და კონფლიქტით გამოწვეული ზიანის შემცირებას. ამგვარი სტრატეგიები პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანის ღირსების დაცვას, კატასტროფების რისკების შემცირებას და მშვიდობის მხარდაჭერას.

## საერთაშორისო სტანდარტებისა და ინდექსების გამოყენება პროგრესის გასაზომად

საერთაშორისო სტანდარტები და ინდექსები წარმოადგენს საკვანძო ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ან რეგიონების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებისა და შედარებისთვის და ქმნის პროგრესის გაზომვის სტრუქტურირებულ ჩარჩოს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანური უსაფრთხოების პროგრესის შეფასებაში სადავო სასაზღვრო რეგიონებში. ამ ინსტრუმენტების გამოყენება უზრუნველყოფს უსაფრთხოების, მმართველობის, სოციალური-ეკონომიკური განვითარების და ადამიანის უფლებების სხვადასხვა ასპექტების შეფასებას, რაც საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ ინტერვენციების ეფექტურობა და შეიმუშაონ შემდგომი სტრატეგიები. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ძირითადი საერთაშორისო სტანდარტი და ჩარჩო კატეგორიების მიხედვით.

საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ფოკუსირებულია მმართველობაზე ან ინსტიტუციონალურ ჩარჩოებზე, ქმნიან წესების, პოლიტიკის და სტრუქტურების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც სხვადასხვა უწყები ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებას, იღებენ გადაწყვეტილებებს და განკარგავენ საზოგადოებრივ რესურსებს ეფექტიანი ადმინისტრირების, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით. ამგვარი ინსტრუმენტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI).

ერთ-ერთი მაგალითი არის გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), რომელიც ფართოდ აღიარებული ინსტრუმენტია და

ქვეყნის მიღწევებს ადამიანის განვითარების სამ ძირითად ასპექტში აფასებს. ესენია: ჯანმრთელობა (სიცოცხლის ხანგრძლივობა), განათლება (საშუალო განათლების საფეხურის ხანგრძლივობა და სასკოლო განათლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა) და ცხოვრების სტანდარტი (მთლიანი ეროვნული შემოსავალი - GNI - ერთ სულ მოსახლეზე). სადავო სასაზღვრო რეგიონებში HDI-ს დახმარებით შესაძლებელია მმართველობისა და ინსტიტუციონალური ჩარჩოების ეფექტურობის შეფასება ადამიანური უსაფრთხოების ხელშეწყობის კონტექსტში. უფრო კონკრეტულად კი, ხსენებული სამი მიმართულებით პროგრესის შეფასება ხელს უწყობს სერვისების მიწოდების ხარვეზების იდენტიფიცირებას და საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საერთაშორისო სტანდარტები და ინდექსები უსაფრთხოების ზომების და კონფლიქტების მოგვარების შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის უსაფრთხოების შესაფასებლად სადავო სასაზღვრო რეგიონებში, ვინაიდან მათი მეშვეობით შესაძლებელია ისეთი ობიექტური მონაცემების შეგროვება, რომლებიც უკავშირდება ძალადობას, კონფლიქტის სიმწვავეს და სამშვიდობო ინტერვენციების ეფექტურობას. ეს ინსტრუმენტები აფასებენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტების სიხშირე, ტერორიზმის გავლენა, სამშვიდობო შეთანხმებების არსებობა და პოლიტიკური სტაბილურობის ხარისხი. ამ სტანდარტებისა და ინდექსების გამოყენებით პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებსა და მკვლევრებს შეუძლიათ შეაფასონ პროგრესი ძალადობის შემცირების, სამოქალაქო პირების დაცვისა და კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ერთობლივ ხედვას უსაფრთხოების გარემოს შესახებ სადავო სასაზღვრო ზონებში. ეს ხელს უწყობს ადამიანური უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებას და გადაწყვეტილების მიღებას ადამიანური უსაფრთხოებისთვის რესურსების განაწილების საჭიროების შესახებ. ამის ერთ-ერთი მაგალითია ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გლობალური მშვიდობის ინდექსი (GPI),<sup>36</sup> რომელიც შეიმუშავა ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტმა, რომელიც ზომავს ქვეყნებსა და რეგიონებში შდარებითი მშვიდობის დონეზე სამი ინდიკატორზე - ძალადობის, კონფლიქტისა და მილიტარიზაციის დონეების საფუძველზე. სადავო სასაზღვრო რეგიონებში GPI წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს უსაფრთხოების პირობების და კონფლიქტის მოგვარების ძალისხმევების ეფექტურობის შესაფასებლად. აფასებს რა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა შიდა კონფლიქტების ხდომილება, ორგანიზებული ძალადობის ინტენსივობა და ტერორიზმის გავლენა, GPI შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს ნათლად დაინახონ და შეაფასონ რეგიონის დინამიკა. ეს ინფორმაცია კრიტიკულია მშვიდობის მშენებლობის ინიციატივების ხელმძღვანელობისათვის, უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისთვის და ძალადობის პრევენციისა და სტაბილურობის ხელშეწყობის ინტერვენციების წარმატების შეფასებისთვის.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში GPI დაეხმარება შდსაბამის აქტორებს შეაფასონ უსაფრთხოების ზოგადი მდგომარეობა, დაინახონ კონფლიქტის ინტენსივობის ცვლილება, სამხედრო ძალების დისლოკაცია და სამოქალაქო მოსახლეობაზე ძალადობის გავლენა. ინდექსი ასევე იძლევა სამშვიდობო ინიციატივების ეფექტიანობის შეფასების

შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი ინტერვენციების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინიციატივები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის უსაფრთხოების შესაფასებლად სადავო სასაზღვრო ზონებში იმ ძირითადი მაჩვენებლების ანალიზით, როგორცაა წვდომა საბაზისო მომსახურებაზე (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, სუფთა წყალი), ეკონომიკური შესაძლებლობები (დასაქმება, შემოსავლის დონე) და ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს ინიციატივები აჩვენებს, რამდენად კარგად ახერხებენ ამ არასტაბილურ რეგიონებში მცხოვრები საზოგადოებები განვითარებას, და განსაზღვრავს იმ სფეროებს, სადაც სიღარიბემ, უთანასწორობამ და რესურსების სიმწირემ შესაძლოა უსაფრთხოებისთვის დამატებითი რისკები შექმნას. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მონიტორინგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტაბილურობისა და მდგრადობისკენ მიმართული ინტერვენციების ეფექტიანობის გასაზომად და ქმნის ნათელ სურათს იმის შესახებ, რამდენად უმჯობესდება უსაფრთხოება უსაფრთხოება ამ რთული გამოწვევებით სავსე გარემოში. სოციალური პროგრესის ინდიკატორი (SPI), მაგალითად,<sup>37</sup> მაგალითად, სოციალური პროგრესის ინდექსი (SPI) გვთავაზობს საზოგადოების კეთილდღეობის კომპლექსურ შეფასებას, რომელიც სცდება ეკონომიკური საქმიანობების სფეროს და ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორცაა მაგალითად, საბაზისო ადამიანური საჭიროებები, კეთილდღეობის საფუძვლები და ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარება. სადავო სასაზღვრო ზონებში, სადაც სოციალური და ეკონომიკური პირობები ხშირად მყიფეა, SPI უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას განვითარების ინიციატივების გავლენის შესახებ ადამიანის უსაფრთხოებაზე. ინდექსი აფასებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა წვდომა საბაზისო სამედიცინო მომსახურებაზე, წყალმომარაგებასა და სანიტარიაზე, განათლებაზე და პირად უფლებებზე. ეს ხელს უწყობს პოლიტიკის შემქმნელებს გააცნობიერონ, რამდენად კარგად ცხოვრობენ საზოგადოების წევრები და სად არის საჭირო დამატებითი მხარდაჭერა. ეს ინდექსი სასარგებლოა სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროგრესის მონიტორინგისთვის და უზრუნველყოფს სასაზღვრო თემების სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებულ ინტერვენციას.

ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლის უზენაესობის საერთაშორისო სტანდარტები და ინდექსები, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის (OHCHR) ადამიანის უფლებათა ინდიკატორები <sup>38</sup> და სამართლის უზენაესობის ინდექსი (World Justice Project Rule of Law Index),<sup>39</sup> შეიძლება გამოყენებულ იქნას სადავო სასაზღვრო ზონებში ადამიანის უსაფრთხოების გასაზომად. ეს ინსტრუმენტები აფასებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა სამართლიანობაზე წვდომა, დისკრიმინაციისგან დაცვა, თვითნებური დაკავებისგან თავისუფლება და უსაფრთხოების ძალების ანგარიშვალდებულება. ამ სტანდარტებისა და ინდექსების გამოყენებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შეაფასონ, რამდენად კარგად არის დაცული ადამიანის უფლებები არასტაბილურ რეგიონებში,

გამოავლინონ დარღვევები და განსაზღვრონ სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების ეფექტიანობა სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფაში. ეს გაზომვა მნიშვნელოვანია ადამიანის უსაფრთხოების ფართო სურათის გასაგებად, რადგან ადამიანის უფლებების ძლიერი დაცვა და ფუნქციური სამართლებრივი სისტემა გადაწყვეტია სადავო სასაზღვრო ზონებში უსაფრთხოების, ღირსების და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, OHCHR-ის ადამიანის უფლებათა ინდიკატორები ქმნიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვის შესაფასებლად. ეს ინდიკატორები მოიცავს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ფართო სპექტრს. სადავო სასაზღვრო ზონებში, სადაც ადამიანის უფლებათა დარღვევები ხშირია, ეს ინდიკატორები აუცილებელია უფლებების დაცვისა და სამართლის უზენაესობის ხარისხის გასაზომად. სამართლიანობაზე წვდომის, დისკრიმინაციისგან დაცვის და სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანობის შეფასების მეშვეობით, ეს ინდიკატორები ქმნიან ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ნათელ სურათს ამ რეგიონებში. ეს ინფორმაცია აუცილებელია პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების, დამრღვევთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ადამიანის უსაფრთხოების დაფუძნებისთვის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებზე.

რეგიონულ ან კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე ორიენტირებული საერთაშორისო სტანდარტები და სპეციალური ინდექსები შეიძლება გამოყენებულ იქნას სადავო სასაზღვრო ზონებში ადამიანის უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად, ისინი იძლევიან კონფლიქტებისა და ძალადობის დინამიკის შესახებ დეტალურ ინფორმაციას. ეს ინსტრუმენტები აკონტროლებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტების სიხშირე და ინტენსივობა, პოლიტიკური ძალადობის შემთხვევები და არეულობის გეოგრაფიული გავრცელება. ამ მონაცემების ანალიზით, პოლიტიკის შემქმნელებსა და მკვლევრებს შეუძლიათ შეაფასონ სადავო სასაზღვრო ზონებში მოსახლეობის წინაშე არსებული უშუალო საფრთხეები, დააკვირდნენ მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტის მოგვარების ძალისხმევის ეფექტიანობას და გამოავლინონ ახალი რისკები. სპეციალური ინდექსები უზრუნველყოფს რეგიონისა და კონფლიქტის სპეციფიკურ ფაქტორებზე დეტალური წარმოდგენას, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის უსაფრთხოებაზე, რაც, თავის მხრივ იძლევა მიზანმიმართული ინტერვენციებისა და სტრატეგიების შემუშავების შესაძლებლობას.

ოსლოს მშვიდობის კვლევითი ინსტიტუტი (PRIO) თვალყურს ადევნებს კონფლიქტების გავრცელებასა და მათ ინტენსივობას მსოფლიოს მასშტაბით.<sup>40</sup> ის აგროვებს დეტალურ მონაცემებს შეიარაღებულ კონფლიქტებზე, არასახელმწიფოებრივ კონფლიქტებსა და ცალმხრივ ძალადობაზე, რაც მას კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ფუნქციას აკისრებს საზღვრისპირა რეგიონებში კონფლიქტური დინამიკის სიღრმისეულად გასაგებად.

შეიარაღებული კონფლიქტის ლოკაციისა და მოვლენების მონაცემთა პროექტი (ACLED) რეალურ დროში აგროვებს მონაცემებს პოლიტიკური ძალადობისა და საპროტესტო მოვლენების შესახებ, მათ შორის ინფორმაციას კონფლიქტში ჩართული აქტორების, ლოკაციების და მსხვერპლთა შესახებ.<sup>41</sup> ეს დეტალური მონაცემები განსაკუთრებით სასარგებლოა სადავო სასაზღვრო ზონებში მიმდინარე კონფლიქტების მონიტორინგისა და ძალადობის შემცირებისკენ მიმართული ჩარევების შეფასებისთვის. საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში ACLED შეუძლია დააფიქსიროს ინციდენტები, როგორცაა შეიარაღებული შეტაკებები, აფეთქებები და სამოქალაქო პირების წინააღმდეგ მიზანმიმართული ძალადობა, რაც რეალურ დროში შესაბამის აქტორებს კრიტიკულ ინფორმაციას აწვდის იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც საზოგადოების წინაშეა. ეს მონაცემები ეხმარება ძალადობის ცხელი წერტილების იდენტიფიცირებას და ცეცხლის შეწყვეტის ან მშვიდობის შეთანხმებების ეფექტიანობის მონიტორინგს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) რეგიონალური კეთილდღეობის ინდექსი ზომავს კეთილდღეობას ქვეყნების სხვადასხვა რეგიონში, ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა შემოსავალი, დასაქმება, ჯანმრთელობა, განათლება და უსაფრთხოება.<sup>42</sup> ინდექსს შეუძლია გამოავლინოს განსხვავებები სასაზღვრო და უფრო სტაბილურ რეგიონებს შორის, რაც ქმნის სურათს იმ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანური უსაფრთხოების მდგომარეობაზე სადავო ზონებში.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები და ჩარჩოები შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ადამიანური უსაფრთხოების პროგრესის გასაზომად სადავო სასაზღვრო ზონებში. მართვის, უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტური დინამიკის ყოვლისმომცველი შეფასების მეშვეობით, ეს ჩარჩოები გზას უჩვენებენ პოლიტიკის შემქმნელებს ეფექტიანი ჩარევების დიზაინისა და განხორციელებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობას, სტაბილურობას და კეთილდღეობას ამ მყიფე რეგიონებში. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით დაინტერესებული მხარეები შეიძლება უკეთ გაიგონ ადამიანის უსაფრთხოების კომპლექსურობა სადავო სასაზღვრო ზონებში და იმუშაონ მდგრადი გადაწყვეტილების შემუშავებისთვის, რომლებიც აღმოფხვრიან არასტაბილურობის გამომწვევ მიზეზებს და გააუმჯობესებენ კონფლიქტით დაზარალებული თემების მდგომარეობას.

## ნაწილი II

ადამიანური უსაფრთხოება საქართველოს კონფლიქტისპირა რეგიონებში

როგორც პირველ ნაწილში არის გაანალიზებული ადამიანური უსაფრთხოების კონცეფცია მრავალგანზომილებიანი და ის მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების შრეებსაც, ასევე ადამიანის უფლებების და თანასწორობის დაცვის ელემენტებსაც. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ე.წ. გამყოფ ხაზთან არსებულ სოფლებზე დაკვირვება და აქ არსებული მდგომარეობის შემსწავლელი არაერთი კვლევა უთითებს, რომ ადამიანური უსაფრთხოების ყველა შრე აქ მცხოვრები მოსახლეობისთვის პრობლემურია.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ ხაზთან, ე.წ. გამყოფ ხაზთან მდებარეობს 116 სოფელი, სადაც 2014 წლის აღწერის მიხედვით ცხოვრობდა 46 352 ადამიანი,<sup>43</sup> თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები უთითებს რომ მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რაც უმთავრესად უკავშირდება ადამიანური უსაფრთხოების არაერთ გამოწვევას. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით,<sup>44</sup> 2002 წლის აღწერის მონაცემებს თუ შევადარებთ 2014 წლის მონაცემებს მოსახლეობის რაოდენობა 33% ით არის შემცირებული. გარდა ამისა, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა ხშირად უთითებს, რომ მათ სოფლები უფრო და უფრო ცარიელდება მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობის გამო. ICCN-ის 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით,<sup>45</sup> გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის 61.5% ცხოვრების პირობების გაუარესებას ყველაზე მძიმე შეფასებას აძლევს, ამავე კვლევის მიხედვით მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, 98% უმძიმეს პრობლემებს შორის ასახელებს უმუშევრობას. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი პრაქტიკულად უტოლდება ოკუპაციის პრობლემას, რაც გულისხმობს იმას რომ გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას ოკუპაციაც და უმუშევრობაც ერთნაირი სიმწვავეით აწუხებთ.

სტატის ეს ნაწილი სწორედ საქართველოში არსებულ გამყოფ ხაზებთან არსებული მდგომარეობის აღწერილობით ანალიზს წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება უკვე არსებული კვლევების კომპილაციას და სოციალური სამართლიანობის ცენტრის დაკვირვებებს გამყოფ ხაზთან არსებულ სოფლებში ჩატარებული ვიზიტებისას.

### **ფიზიკური უსაფრთხოება**

გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ფიზიკური უსაფრთხოება საგანგაშოა, რაც გამოიხატება უკანანო დაკავებების, გატაცებების და ბორდერიზაციის ყოველდღიურ და განგრძობად საფრთხეში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშების მიხედვით, 2016 წლიდან 2023 წლამდე აფხაზეთის მიმართულებით დაკავებულების რაოდენობა 363 ადამიანია და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 659. მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეგიონის მიმართულებით მოქმედებს ჟენევის საერთაშორისო

დისკუსიების ფარგლებში შექმნილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) რომელიც სამ თვეში ერთხელ იკრიბება ერგენტში (აფხაზეთის მიმართულებით ეს მექანიზმი 2012 წელს შეჩერდა და გალში შეხვედრები მას შემდეგ აღარ განხორციელებულა) გატაცებების და დაკავებების რაოდენობა ცხინვალის რეგიონის მიმართულებით კვლავ საგანგაშოა. მეტიც 2023 წელს წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტია გატაცებების რაოდენობაც. ხაზგასასმელია ისიც, რომ დაკავებების და გატაცებების ნაწილი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხდება. 2023 წელს საოკუპაციო ძალებმა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ კირბალში მოკლეს საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური,<sup>46</sup> რომელიც რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებების მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდა.

პოლიციის განყოფილებების სიმცირე და პატრულირების ნაკლებად რეგულარული ხასიათი არის ის მთავარი გამოწვევა, რასაც გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანები ფიზიკური უსაფრთხოების კონტექსტში მუდმივად ასახელებენ. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევით ირკვევა, რომ გამყოფი ხაზის სოფლების, საშუალოდ, 83%ში არ არის პოლიციის განყოფილება (აფხაზეთის მიმართულებით 97% სოფლებში, და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 78%ში), ხოლო საშუალოდ, სოფლების 34%-ში არ ხდება რეგულარული პატრულირება. იგივეს ამბობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ასოციაცია თანხმობას მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევაც, რომლის მიხედვითაც, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, სოფლების 63%ში არ არის პოლიციის განყოფილება.<sup>47</sup>

გარდა იმისა, რომ გამყოფი ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა ითხოვს პოლიციის მუდმივ წარმომადგენლობას და რეგულარულ მონიტორინგს და პატრულირებას, მათი თქმით ადრეული გაფრთხილების სისტემის არსებობა მუდმივი გატაცებების და ბორდერიზაციის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობისაა. ასევე, სოფლებში, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონის მხარეს უთითებენ, რომ აუცილებელია სამეთვალყურეო/უსაფრთხოების კამერების ინსტალირება გამყოფი ხაზებთან, უშუალოდ იმ ადგილებში სადაც ხშირად ხდება ე.წ. უკანონო საზღვრის კვეთის დროს დაკავება, ან გატაცება. ასევე მათთვის მნიშვნელოვანია რომ არსებობდეს ხაზი, რომელიც გარკვეულად მიჯნავს ოკუპირებულ და კონტროლირებად ტერიტორიას ერთმანეთისგან, რადგან ამ ხაზის არარსებობის პირობებში, ისინი ხშირად გადადიან მეორე მხარეს, ისე რომ ვერც ხვდებიან როდის გადაკვეთეს ე.წ. საზღვარი, რაც შემდეგ უკანონო დაკავების საფუძველი ხდება.<sup>48</sup>

„უხილავი საოკუპაციო ხაზი“, ადრეული გაფრთხილების სისტემის არარსებობა, უსაფრთხოების ისეთი ზომების არარსებობა, როგორცაა სამეთვალყურეო კამერები, რეგულარული პატრულირება და საპოლიციო წარმომადგენლობები, და ამ ფონზე გატაცებების და დაკავებების სისტემური პრობლემა, გამყოფი ხაზის სოფლებში

ამლიერებს ფიზიკური საფრთხის ყოველდღიურ აღქმას, რაც ზოგადად მძიმედ აისახება ადამიანური უსაფრთხოების ხარისხზე.

### სოციალური და ეკონომიური უსაფრთხოება

გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის სოციალური, ეკონომიური და ჰუმანიტარული მდგომარეობა ამ ხაზების წარმოშობიდან დღემდე მყიფე და არასტაბილურია, სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული მდგრადი ხედვა და პოლიტიკა თუ როგორ უნდა დაუჭიროს მხარი განგრძობადი კონფლიქტის პირობებში და მუდმივი საფრთხის პირობებში მცხოვრებ მოსახლეობას, მდგრადი სოციალური და ეკონომიკური პირობების შესაქმნელად. სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი რაოდენობრივი მონაცემები რომელიც სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა პრაქტიკულად არ იცვლება, რაც მიუთითებს იმაზე რომ ამ მხრივ გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ყოფა წლიდან წლამდე იგივე რჩება და არსებითად არ იცვლება.

სოციალურ გამოწვევებს შორის არის გამყოფი ხაზის სოფლებში არსებული ინფრასტრუქტურული ჩამორჩენა, რაც საბოლოოდ აისახება საბაზისო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაში. მაგალითად, გამყოფი ხაზის სოფლების 91%-ში არ არის დაგებული გზები, 90%-ს არ აქვს ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, 85%-ს ხელი არ მიუწვდება შეშაზე, სოფლების 70%-ში არ არის საბავშვო ბაღი, 57%-ში არ არის სამედიცინო დაწესებულება, სოფლების 36% არ არის გაზიფიცირებული, 41%-ს არ მიუწვდება ხელი სურსათის მაღაზიებზე, და ა.შ. <sup>49</sup> ეს არის გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების ნაწილი. მსგავსი მაჩვენებლები წარმოდგინა 2023 წელს ჩატარებულმა კვლევამაც, რომელმაც შეისწავლა დევნილთა დასახლებები და გამყოფი ხაზის სოფლები ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. ამ კვლევის მიხედვითაც, გამყოფი ხაზის სოფლების 93%-ში არ არის აფთიაქები, 73%-ს არ მიუწვდება ხელი ზამთარში შეშაზე, 60%-ში არ არის საბავშვო ბაღი, 40%-ში არ არის სასურსათო მაღაზიები, სოფლების 40%-ს ასევე არ აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის რესურსი და სხვა.<sup>50</sup> მძიმე სოციალურ ყოფაზე უთითებს ICCN-ის მიერ 2021 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევაც. ამ კვლევის მიხედვით: გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიმშილს და არასათანადო კვებას მაღალი ინტესივობის პრობლემებს შორის ასახელებს, 68%-ზე მეტი მწვავე პრობლემად მიიჩნევს ასევე მედიკამენტების დეფიციტს, 98% მიიჩნევს რომ უმუშევრობა კრიტიკული პრობლემაა და კრედიტების გაძვირება მოსახლეობის 60%-ს აწუხებს.<sup>51</sup>

ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების კასკადი, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას გაუსაძლის ხდის და მძიმედ აისახება ადამიანური უსაფრთხოების ზემოთ გაანალიზებულ ყველა განზომილებაზე, მათ შორის უფლებრივ მდგომარეობაზეც. ამ ფონზე ხელისუფლებას



არ შეუმუშავებია ერთიანი პოლიტიკა და მიდგომა, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფოს კონკრეტულ ნაბიჯებს თუ როგორ უნდა დაბალანსდეს განგრძობადი ოკუპაციიდან მომდინარე ფიზიკური საფრხეები და ის სოციო-ეკონომიკური ბარიერები, რაზეც მოსახლეობა მუდმივად უთითებს.

## შეჯამება

ადამიანის უსაფრთხოება რთული და მრავალმხრივი კონცეფციაა. თუმცა, ამავე დროს, ის ნორმატიულ სივრცეზე სძენს ეფექტიან და ანგარიშვალდებულ მმართველობის მიზნის ფორმულირებას. ამ სტატიის დასაწყისში მკითხველი გაეცნო ადამიანური უსაფრთხოების კონცეფციის განვითარების ტრადიციას და მის კავშირს სადავო სასაზღვრო ზონებთან, რომლებიც, განსაკუთრებული მმართველობის ზონებად ითვლება მათი გადაუჭრელი სტატუსის გამო. საერთაშორისო გამოცდილება ცხადად ადასტურებს, რომ ადამიანური უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესება ამ ზონებში დამოკიდებულია იმგვარი პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს პასუხისმგებლიან და წარმომადგენლობით მმართველობას, ხოლო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და კონფლიქტის გადაჭრის მცდელობები ეფუძნება ადამიანური უსაფრთხოების მიდგომის პრინციპებს.

ადამიანური უსაფრთხოების კონცეფციის სარგებლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ის განმარტავს, თუ რატომ და როგორ არის ეს ძალისხმევა პირდაპირ დაკავშირებული ტრადიციულად განყენებულ ისეთ საკითხებთან, როგორცაა სოციალური-ეკონომიკური განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ფართო და ყოვლისმომცველი კონცეფციის პოლიტიკასა და სტრატეგიაში ინტეგრირება და განხორციელება რთულად მისაღწევი მიზანი ჩანს, ადამიანური უსაფრთხოების პრაქტიკული განხორციელების ათი პრინციპი აჩვენებს, რომ შესაძლებელია ტრადიციულად განცალკევებული ინსტიტუტების გეზის ცვლილება პოლიტიკისა და სტრატეგიის მიმართულების ახალი პარადიგმებისკენ. გარდა ამისა, შესაძლებელია სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოების გამოყენება, რათა ადამიანური უსაფრთხოება მოექცეს ეროვნული და საზღვრისპირა სტრატეგიის ცენტრში. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებს შეუძლიათ აქცენტი გააკეთონ არა მხოლოდ ტერიტორიული დაცვის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ძალადობისა და ეკონომიკური დეფიციტისგან დაცვისკენ. შესაძლებელია მდგრადი განვითარების და სიღარიბის შემცირების გეგმების იმგვარად ცვლილება, რომ მათში მოექცეს არა მხოლოდ ტერიტორიული თავდაცვის ამოცანები, არამედ ძალადობისა და ეკონომიკური სიდუხჭირისგან მოსახლეობის დაცვის პრიორიტეტი. მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის შემცირების გეგმები ითვალისწინებენ კონფლიქტით დაზარალებული თემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საბაზისო სერივსებსა და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს მარგინალიზებული

გჯუფების უფლებების დაცვა. დიალოგი და შერიგება მშვიდობის შენებისა და კონფლიქტის გადაჭრის ჩარჩოებში უნდა შედიოდეს. დაბოლოს, კატასტროფების რისკის შემცირებისა და ლტოლვილებთან დაკავშირებული პოლიტიკა უნდა მოერგოს სასაზღვრო რეგიონების მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ადამიანური უსაფრთხოების ფართო მიდგომების დანერგვა ამ მეტად მყიფე ადგილებში.

კომპლექსური სტრატეგიები, საერთაშორისო სტანდარტები და ინდექსები, როგორებიცაა გლობალური მშვიდობის ინდექსი (GPI), ACLED-ის შეიარაღებული კონფლიქტების მონაცემთა პროექტი და OHCHR-ის ადამიანის უფლებათა მაჩვენებლები, შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული საქართველოს სადავო რეგიონებში, ადამიანის უსაფრთხოების მდგომარეობის გასაზომად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტრუმენტების გამოყენება სირთულეებთანაც არის დაკავშირებული, ისინი გვთავაზობს მრავალგაზომილებიან მიდგომას, რომელიც აფასებს უსაფრთხოების გარემოს, ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას და კონფლიქტით დაზარალებული თემების ზოგად კეთილდღეობას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტებმა და ინდექსებმა, როგორცაა გლობალური მშვიდობის ინდექსი (GPI), შეიარაღებული კონფლიქტების ლოკაციისა და ფაქტების მონაცემთა ბაზა (ACLED) და OHCHR-ის ადამიანის უფლებების ინდიკატორები, შეიძლება მნიშვნელოვანი წარმოდგენა შეგვიქმნას საქართველოს სადავო ტერიტორიებზე ადამიანური უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, ამ ინსტრუმენტების გამოყენება კონფლიქტით დაზარალებულ კონტექსტში, სერიოზულ წუხილს იწვევს. ერთი-ერთი მთავარი გამოწვევა არის საიმედო მონაცემების მოპოვების სირთულე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მსგავს რეგიონებში, სადაც ხელმისაწვდომობა ხშირად მკაცრად შეზღუდულია მიმდინარე კონფლიქტისა და პოლიტიკური მგრძობელობების გამო. ამ ტერიტორიებიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა არასრული, მიკერძოებული ან კონფლიქტის მხარეების გავლენით იყოს მოპოვებული, რაც მონაცემთა ხარვეზებს ან უზუსტობებს იწვევს. გარდა ამისა, ეს ინსტრუმენტები ხშირად ეფუძნება ზოგად ინდიკატორებს, რომლებიც სრულად ვერ ასახავენ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების უნიკალურ დინამიკას, მაგალითად, რთული ეთნიკური ურთიერთობების, ისტორიული დაპირისპირებების და გარე აქტორების, მაგალითად, რუსეთის, გავლენებს. ამ ინსტრუმენტების გამოყენება საქართველოში ასევე მოითხოვს მნიშვნელოვან ექსპერტიზასა და რესურსებს, რომლებიც განსაკუთრებით შეზღუდულია შორეულ და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში. მონაცემების სწორად ინტერპრეტაცია კიდევ ერთი გამოწვევაა, რადგან ის უნდა იყოს კონტექსტუალიზებული საქართველოს სპეციფიკურ პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში, რათა თავიდან იქნას აცილებული მცდარი გადაწყვეტილებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობის გამწვავება. ამ გამოწვევების მიუხედავად, ადგილობრივ ცოდნაზე დაყრდნობითა და ინსტრუმენტების ფრთხილი გამოყენებით, მაინც შესაძლებელია,

მათი, როგორც მნიშვნელოვანი გზამკვლევის გამოყენება ადამიანური უსაფრთხოების გაზომვისა და გაუმჯობესების პროცესში საქართველოს სადავო საზღვრისპირა რეგიონებში.

ეს საერთაშორისო სტანდარტები და ინდექსები ერთად წარმოადგენენ ადამიანური უსაფრთხოების ჰოლისტურ ხედვას საქართველოს სადავო საზღვრისპირა რეგიონებში. ისინი საშუალებას აძლევენ პოლიტიკის შემქმნელებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ადგილობრივ აქტორებს ყურადღებით აკონტროლონ სიტუაცია, გამოავლინონ ახალი რისკები და შეიმუშავონ მიზნობრივი ინტერვენციები, რომლებიც პასუხობენ როგორც დაუყოვნებლივ უსაფრთხოების გამოწვევებს, ასევე გრძელვადიან საჭიროებებს ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური სტაბილურობისთვის. ამ მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა ადამიანური უსაფრთხოების მიმართ გადამწყვეტია მშვიდობის ხელშესაწყობად და ამ მყიფე რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

# გამოყენებული წყაროები

---

- 1 Paris, R. (2001). Human security: paradigm shift or hot air?. *International security*, 26(2), 87-102; Paris, R. (2001). "Rethinking Human Security". *Journal of International Studies*, 26(2), 425-442. Available at: <https://www.jstor.org/stable/2600811>Krause, K. (2013). Critical perspectives on human security. In *Routledge handbook of human security* (pp. 76-93). Routledge.
- 2 UNDP 1994 Human Development Report 1994 | Human Development Reports ([undp.org](http://undp.org))
- 3 International Commission on Intervention and State Sovereignty. (2001). *The Responsibility to Protect*. International Development Research Centre. Available at: <https://www.idrc.ca/en/book/responsibility-protect-report-international-commission-intervention-and-state-sovereignty>
- 4 See Amnesty International (2019) "Georgia: Behind barbed wire: Human rights toll of "borderization" in Georgia", July 3, Index Number: EUR 56/0581/2019. <https://www.amnesty.org/en/documents/eur56/0581/2019/en/> : International Crisis Group (2022) "Fenced In: Stabilising the Georgia-South Ossetia Separation Line", 6 December. Available at: <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/fenced-stabilising-georgia-south-ossetia-separation-line>
- 5 See for example, Markus Virgil Hoehne, "Somaliland: 30 Years of De Facto Statehood, and No End In Sight", ISPI (Istituto per gli Studi di Politica Internazionale), 7 May 2021; Nima Elmi, "What Somaliland can teach the rest of Africa about peace and stability", *World Economic Forum Geographies in Depth*, March 17, 2016: <https://www.weforum.org/agenda/2016/03/what-somaliland-can-teach-africa-about-peace-and-stability/>
- 6 On participatory governance in Timor Leste see for example, Feijó, Rui Graça (2015), *Timor-Leste: The Adventurous Tribulations of Local Governance after Independence*, in: *Journal of Current Southeast Asian Affairs*, 34, 1, 85–114; Butterworth, D., & Dale, P. (2011). *Local governance and community development initiatives: contributions for community development programs in Timor-Leste*. World Bank.
- 7 See for example, Lopez, B., & Spears, H. (2013). *Stabilizing Abyei: trauma and the economic challenges to peace*. KUSH Inc; Saeed, A. (2015). *Failed governance and political turbulence in Abyei Area of Sudan*. Michelsen Institute.
- 8 See further, Khan, Javid Iqbal and Ayoub, Shahla, *Conflict and Economic Welfare: Insights from Kashmir* (March 11, 2015). *Golden Research Thoughts*, Volume 2, Issue. 7, Jan. 2013, Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2576917>
- 9 Belloni, R., & Strazzari, F. (2017). *Corruption in post-conflict Bosnia-Herzegovina and Kosovo: a deal among friends*. In *Corruption in the Aftermath of War* (pp. 133-149). Routledge.
- 10 Deol, S. S., & Ganai, R. A. (2018). *Custodial violence in Kashmir by the Indian security forces: a spontaneous consequence or a deliberate counter-insurgency policy?*. *International Journal of Criminal Justice Sciences*, 13(2).
- 11 Brewer-Carías, A. R. (2006). *Guyana-Venezuela Border Dispute*. *Max Planck Encyclopedia of Public International Law*.
- 12 Ebus, B. (2019). *Troubled Waters along the Guyana-Venezuela Border*. International Crisis Group.
- 13 Chappuis, F. (2010). *Human security and security sector reform: conceptual convergences in theory and practice*. In *Mainstreaming Human Security in Peace Operations and Crisis Management* (pp. 121-144). Routledge.
- 14 Embassy of the Republic of Sudan, Oslo. "Summary of the Nine Agreements between Sudan and South Sudan", <http://www.sudan oslo.no/the-nine-agreements-between-s-ii.html>
- 15 Gurbanova, A. (2021). "The Second Nagorno-Karabakh War as a Threat to Human Security". *Turan-Sam*, 13(51), 229-234. Manon Fuchs; Mary Glantz; Katie Ruppert; Elizabeth Shillings (2023), "The Nagorno-Karabakh Imperative: Protect Civilians, Revive Diplomacy", September 28, <https://www.usip.org/publications/2023/09/nagorno-karabakh-imperative-protect-civilians-revive-diplomacy>
- 16 Center for Preventive Action "Conflict Between India and Pakistan", Council for Foreign Relations Global Conflict Tracker, <https://www.cfr.org/global-conflict-tracker/conflict/conflict-between-india-and-pakistan>
- 17 See Crisis Group (2006), "Managing Tensions on the Timor-Leste/Indonesia Border" Crisis Group Asia Briefing N°50, 4 May. <https://www.crisisgroup.org/sites/default/files/b50-managing-tensions-on-the-timor-leste-indonesia-border.pdf>

- 
- 18 See Dunn, T. J. (2021). The militarization of the US-Mexico border in the twenty-first century and implications for human rights. In *Handbook on human security, borders and migration* (pp. 35-53). Edward Elgar Publishing.
- 19 See Crisis Group (2006).
- 20 See International Labour Organisation (ILO). (2021). *Roads for Development – Support Program (R4D-SP): Final Evaluation*. Morrissey Consulting International. <https://webapps.ilo.org/ievaldiscovery/#bdtv28>
- 21 See Godinho, C. (2024). The Social Impact of The Suai-Beasu Toll Road Development on The Community. *International Scientific Journal of UNPAZ Timor-Leste*, 1(01), 1-4.
- 22 Castro, A. (2008). Barrio Adentro: a Look at the Origins of a Social Mission. *Revista: Harvard Review of Latin America*, Volume VIII, Number 1.; Rendon, M. & Mendales, J. (2018), "The Maduro Diet: Food v. Freedom in Venezuela", CSIS: Center for Strategic and International Studies, July 9.
- 23 Cooper, A., & Feo, O. (2022). The Rise and Fall of Barrio Adentro: With Hugo Chávez's celebrated health care project progressively in ruins, the pandemic underlines the need to rebuild. *NACLA Report on the Americas*, 54(1), 80–84. <https://doi.org/10.1080/10714839.2022.2045102>
- 24 Strüver, Anke. 2018. "Europeanization in Cypriot Borderscapes: Experiencing the Green Line in Everyday Life." *Geopolitics* 25 (3): 609–32. doi:10.1080/14650045.2018.1550390.
- 25 Asmussen, J. (2004). Cyprus after the failure of the Annan-Plan. ECMI Brief # 11 July 4, European Centre for Minority Issues. [https://www.files.ethz.ch/isn/34229/brief\\_11.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/34229/brief_11.pdf)
- 26 Kosovo Specialist Chambers & Specialist Prosecutor's Office. <https://www.scp-ks.org/en>
- 27 Prominent examples include South Africa's Truth and Reconciliation Commission established in 1995 to address the crimes of apartheid; Rwanda's Gacaca Courts, a community-based court system intended to deal with the atrocities of the 1994 Rwandan Genocide; Sierra Leone's Truth and Reconciliation Commission formed in 2002 to address the causes and consequences of the civil war; The Commission for Reception, Truth, and Reconciliation of Timor Leste established in 2001 to investigate human rights violations committed under Indonesian occupation and facilitate community reconciliation.
- 28 Florez, M. C. C., Parada, A. F. M., & Hoyos, J. F. S. (2022). Punishment and pardon: The use of international humanitarian law by the Special Jurisdiction for Peace in Colombia. *International Review of the Red Cross*, 104(919), 1199-1221.
- 29 Ayodeji, G. I., Erinsho, T. O., & Fayemi, J. A. (2019). Human Rights Violations and Quest for Justice: Interrogating the Role of Truth, Reconciliation and Reparations Commission in the Gambia. *GLR*, 2, 74.
- 30 See for example United States Department of State (2023), "Somalia 2023 Human Rights Report", Country Reports on Human Rights Practices for 2023, Bureau of Democracy, Human Rights, and Labor, [https://www.state.gov/wp-content/uploads/2024/02/528267\\_SOMALIA-2023-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf](https://www.state.gov/wp-content/uploads/2024/02/528267_SOMALIA-2023-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf)
- 31 Lalwani, S. P., & Gayner, G. (2020). *India's Kashmir Conundrum: Before and After the Abrogation of Article 370*. Washington, DC: United States Institute of Peace.
- 32 United Nations Office for Disaster Risk Reduction (UNDRR). "What is the Sendai Framework?". <https://www.undrr.org/implementing-sendai-framework/what-sendai-framework>.
- 33 PeaceWomen. "National Action Plans on Women, Peace, and Security." <http://1325naps.peacewomen.org>.
- 34 United Nations High Commissioner for Refugees (UNHCR). Guiding Principles on Internal Displacement. <https://www.unhcr.org/media/guiding-principles-internal-displacement>.
- 35 International Commission on Intervention and State Sovereignty. (2001).
- 36 Institute for Economics and Peace. Global Peace Index 2024. <https://www.economicsandpeace.org/wp-content/uploads/2024/06/GPI-2024-web.pdf>.
- 37 Social Progress Imperative. "Social Progress Index." <https://www.socialprogress.org/social-progress-index>.
- 38 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR). "Human Rights Indicators." <https://www.ohchr.org/en/instruments-and-mechanisms/human-rights-indicators>.
- 39 World Justice Project. "Rule of Law Index." <https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/>.
- 40 Peace Research Institute Oslo (PRIO). "Conflict Trends: A Global Overview, 2023." <https://www.prio.org/publications/14006>.
- 41 Armed Conflict Location & Event Data Project (ACLED). "ACLED Data." <https://acleddata.com/>.
- 42 Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). "OECD Regional Well-Being." <https://www.oecd.org/en/data/tools/oecd-regional-well-being.html>.
- 43 <https://www.mrdi.gov.ge/ka/press-center/სიახლეები%20&%20ლონისძიებები/პრემიერ-მინისტრის-ინიციატივით.html>
- 44 საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, UN Women, 2019, გვ. 25.

---

<sup>45</sup> კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანთა უსაფრთხოების კვლევა, 2021. ხელმისაწვდომია:

[http://iccn.ge/files/human\\_security\\_across\\_abl\\_research\\_iccn\\_2021.pdf](http://iccn.ge/files/human_security_across_abl_research_iccn_2021.pdf)

<sup>46</sup> "მეიფე მშვიდობა", მკვლევლობა კირბალის ეკლესიასთან და ზღვარი სიფრთხილესა და შეგუებას შორი, ნოემბერი, 2023. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/მეიფე-მშვიდობა-მკვლევლობა-კირბალის-ეკლესიასთან-და-ზღვარი-სიფრთხილესა-და-შეგუებას-შორის/32677163.html>

<sup>47</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება 2019, გვ 12.

<sup>48</sup> ხელისუფლების სუსტი ძალისხმევა გამყოფი ხაზის სოფლებში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/khelisuflebis-susti-dzalikhmeva-gamqofi-khazis-soflebshi>

<sup>49</sup> NEEDS ASSESSMENT OF THE POPULATION RESIDING ALONG THE ADMINISTRATIVE BOUNDARY LINES IN GEORGIA, UN Women, 2019, at 13. available at: <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-02/ABL%20Needs%20Assessment%20ENG%202019%20Final.pdf>

<sup>50</sup> გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, იქვ ასოციაცია თანხმობა, 2023, ხელმისაწვდომია:

[https://drive.google.com/file/d/1M1X\\_ahYk7YzNfrXKMWY0L5QTIJix\\_6Wp/view?pli=1](https://drive.google.com/file/d/1M1X_ahYk7YzNfrXKMWY0L5QTIJix_6Wp/view?pli=1)

<sup>51</sup> [http://iccn.ge/files/human\\_security\\_across\\_abl\\_research\\_iccn\\_2021.pdf](http://iccn.ge/files/human_security_across_abl_research_iccn_2021.pdf)